

სასრული ვარიაციის ფუნქციები და ფურიე-ვილენკინის მწკრივების ჩეზაროს უარყოფითი რიგის შეჯამებადობა

გვანცა შევარდენიძე

1971 წელს ონევერმა და ვატერმანმა დაადგინეს საკმარისი პირობა იმისათვის, რომ უწყვეტი ფუნქციის ფურიე-ვილენკინის მწკრივი ყოფილიყო თანაბრად კრებადი. ნაშრომში მოყვანილია საკმარისი პირობა იმისათვის, რომ უწყვეტი ფუნქციის ფურიე-ვილენკინის მწკრივის ჩეზაროს უარყოფითი რიგის საშუალოები იყოს თანაბრად კრებადი. ასევე განხილულია სხვადასხვა განზოგადებული სასრული ოსცილაციის ფუნქციათა კლასები და ამ კლასების ტერმინებში დადგენილია საკმარისი პირობა ჩეზაროს უარყოფითი მეთოდით თანაბრად შეჯამებადობისათვის.